განკარგულება:**გ-37. 37230395**
თარიღი:**08/02/2023**

განკარგულება N11

08 თებერვალი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა თვეში განისაზღვროს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. საკრებულოს წევრს ამ განკარგულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ხარჯი აუნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თითოეული მოვალეობების შესრულებისათვის, კერძოდ:

ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისათვის;

ბ) საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის;

გ) საკრებულოს ფრაქციის სხდომებში მონაწილეობისათვის;

დ) დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის;

ე) ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრებისათვის;

ვ) ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მიღებისათვის.

მუხლი 3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 თებერვლის N10 განკარგულება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 21 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი